ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №1219

ქ. თელავი 30 დეკემბერი 2010 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის ვასილ დავითაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „ფიქრის ხიდი" დირექტორის შალვა სეფიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **სარესტორნო მომსახურება. („მის თელავი 2010-ს მონაწილეთა დაჯილდოვება)** ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. მოლაპარაკების საშუალებით. **დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი.** საფუძველი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №6/3-109

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი" ვალდებულია განახორციელოს **სარესტორნო მომსახურება.** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება: **2010 წლის 31 დეკემბერი;**

3.2 მომსახურების მიწოდების ადგილი : ქ. თელავი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 „შემსყიდველი" ვალდებულია :
– გადაუხადოს „მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
– მიიღოს გაწეული მომსახურება.
5.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
– გაუუქმოს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისის ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
– გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
5.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **1200 (ერთიათასორასი)** ლარი.
(გადასახადების და ტრანსპორტირების ფაქტორების გათვალისწინებით).

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **უნაღდო ანგარიშსწორება**
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): **არაუგვიანეს ამა წლის 31 ოქტომბრამდე.**
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: **ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები და მიღება ჩაბარების აქტი;**

## 8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უსუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
8.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელსეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **ამა წლის 31 ოქტომბრამდე;**

## 11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.2 ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
11.3 შესყიდვის ობიექტის მიღება ფოპრმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა | შპს „ ფიქრის ხიდი" |
| ს/კ 231280093 | ვითიბი ბანკი თელავის ფილიალი |
| ქ. თელავი, ერეკლე II №16 | ს/კ 231290019 |
| | ბ/კ 220101629 |
| | ა/61633602 |

„შემსყიდველი" ______________ „მიმწოდებელი" ______________